

დამკვეთი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ამბოლი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

აუდიტორი

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი

205279660

ვიქტორ დოლიძის ქ. #2.

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
მოსაზრება	4
მოსაზრების საფუძველი	4
დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ	4
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში	5
სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კაპიტალში მომხდარი ცვლილე	8
კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება	8
ბეზის ანგარ.....	8
მძრაობის ანგარიშგება.....	9
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	9
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	10
ძირითადი საქმიანობა	10
შესაბამისობის ანგარიში	10
შეფასების საფუძველი	10
მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი	10
ფუნქციონირებადი საწარმო	10
უცხოური ვალუტის ოპერაციები.....	10
ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი პირობები	11
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	13
დამატებითი ღირებულების გადასახადი	13
მოგების გადასახადი	13
ძირითადი საშუალებები.....	13
კომპანია როგორც მოიჯარე	14
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	15
სესხები	15
საწესდებო კაპიტალი	15
დივიდენდები	15
შემოსავალი	15
ხარჯები	15
თანამშრომელთა ანაზღაურება.	15
რისკის მართვა	21
ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება.....	24
პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები	24
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	24
ბალანსის შემდგომი მოვლენები.....	25
მმართველობითი ანგარიშგება.....	26

შპს „ამბოლი“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების და მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ამბოლი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მზადდება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას;
- მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, ყველა არსებითი თვალსაზრისით, შეესაბამება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2024 წლის 30 აპრილს

დირექტორი - *ჯ. შალამბერიძე*
2024 წლის 30 აპრილი, საქართველო თბილისი

შპს „ამბოლი“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების და მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ამბოლი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესაღარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიკური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მზადდება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას;
- მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, ყველა არსებითი თვალსაზრისით, შეესაბამება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2024 წლის 30 აპრილს


დირექტორი - გ. მელაშვილი

2024 წლის 30 აპრილი, საქართველო თბილისი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ამბოლი“-ს დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ამბოლი“-ს თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში“ ქვეთავში. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტრთა ეთიკის კოდექსი“ და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც ეთიკის კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ჩვენ ავირჩიეთ და შევასრულეთ პროცედურები საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ბანკის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;

მმართველობის ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შესაბამეა 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. აუდიტის ჩატარების დროს ჩვენს მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს, გარდა ამისა ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დაგვეგმოდეს მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი (# SARAS-F-340628)

გელა ჩადუნელი (# SARAS-A-317228)

30 აპრილი, 2024

თბილისი, საქართველო

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. აუდიტის ჩატარების დროს ჩვენს მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს, გარდა ამისა ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მპს ფინანსური მართვის ჯგუფი (# SARAS-F-340628)

გელა ჩადუნელი (# SARAS-A-317228)

30 აპრილი, 2024

თბილისი, საქართველო



	შენიშვნა	2023	გადაანგარიშებული 2022
შემოსავალი	4	63,319	49,190
რეალიზაციის თვითღირებულება		(46,983)	(37,434)
საერთო მოგება		16,336	11,756
სხვა საოპერაციო შემოსავალი		39	66
შრომის ანაზღაურება და ხელფასები		(8,646)	(5,217)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(932)	(712)
ოფისის მიმდინარე და კომუნალური		(786)	(593)
მარკეტინგი		(398)	(352)
მივლინების ხარჯები		(365)	(291)
რემონტის ხარჯი		(316)	(181)
საექვო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი		(74)	(166)
საგადასახადო ხარჯები		(74)	(54)
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები		(70)	(80)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი		(9)	(36)
შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვამდე		4,705	4,140
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	5	(3,685)	(1,424)
ცვეთა და ამორტიზაცია		(2,601)	(1,900)
სხვა შემოსავალი/(ხარჯი)		(582)	(779)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება		(2,163)	37
საანგარიშგებო პერიოდის სრული მოგება		(2,163)	37

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 30 აპრილს შემდეგი პირობის მიერ:

დირექტორი - ჯ. მალამბერიძე

ფინანსური დირექტორი - თ. თაბუკაშვილი

შპს ამბოლი
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)



შენიშვნა	2023	გადაანგარიშებული 2022
შემოსავალი	63,319	49,190
რეალიზაციის თვითღირებულება	(46,983)	(37,434)
საერთო მოგება	16,336	11,756
სხვა საოპერაციო შემოსავალი	39	66
შრომის ანაზღაურება და ხელფასები	(8,646)	(5,217)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(932)	(712)
ოფისის მიმდინარე და კომუნალური	(786)	(593)
მარკეტინგი	(398)	(352)
მივლინების ხარჯები	(365)	(291)
რემონტის ხარჯი	(316)	(181)
საექვო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	(74)	(166)
საგადასახადო ხარჯები	(74)	(54)
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	(70)	(80)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(9)	(36)
შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთისა და ამორტიზაციის ღირებულებების	4,705	4,140
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	(3,685)	(1,424)
ცვეთა და ამორტიზაცია	(2,601)	(1,900)
სხვა შემოსავალი/(ხარჯი)	(582)	(779)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	(2,163)	37
საანგარიშგებო პერიოდის სრული მოგება	(2,163)	37

* 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 30 აპრილს შემდეგი პირების მიერ:


დირექტორი - ჯ. შალამბერიძე


ფინანსური დირექტორი - თ. თაბუკაშვილი

	შენიშვნა	31.12.2023	გადაანგარიშებული 31.12.2022	გადაანგარიშებული 31.12.2021
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივი				
ძირითადი საშუალებები	6	9,642	7,249	5,540
არამატერიალური აქტივები		319	304	355
გამოყენების უფლებით არსებული აქტივები	7	6,755	4,483	2,582
სულ გრძელვადიან აქტივები		16,716	12,036	8,477
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	19,756	19,480	9,921
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	9	8,123	4,763	3,799
ფული და ფულის ექვივალენტები	10	656	424	444
სულ მიმდინარე აქტივები		28,535	24,667	14,172
სულ აქტივები		45,251	36,703	22,649
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		15,829	11,646	6,002
გაუნაწილებელი მოგება		(3,652)	(1,489)	(1,526)
სულ კაპიტალი		12,177	10,157	4,476
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	11	1,799	3,137	3,817
საიჯარო ვალდებულებები	7	5,880	3,579	2,053
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		7,679	6,716	5,870
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	6,033	6,362	5,238
გადასახდელი ხელფასები	12	1,166	504	324
გადასახდელი გადასახადები	12	810	831	563
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	11	15,844	11,006	5,400
საიჯარო ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი	7	1,542	1,127	778
სულ მიმდინარე ვალდებულებები		25,395	19,830	12,303
სულ ვალდებულებები		33,074	26,546	18,173
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		45,251	36,703	22,649

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 30 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - ჯ. მალამბერიძე

ფინანსური დირექტორი - თ. თაბუკაშვილი

შპს ამბოლი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)



	შენიშვნა	31.12.2023	გადაანგარიშებული 31.12.2022	გადაანგარიშებული 31.12.2021
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივი				
ძირითადი საშუალებები	6	9,642	7,249	5,540
არამატერიალური აქტივები		319	304	355
გამოყენების უფლებებით არსებული აქტივები	7	6,755	4,483	2,582
სულ გრძელვადიან აქტივები		16,716	12,036	8,477
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	19,756	19,480	9,921
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	9	8,123	4,763	3,799
ფული და ფულის ექვივალენტები	10	656	424	444
სულ მიმდინარე აქტივები		28,535	24,667	14,172
სულ აქტივები		45,251	36,703	22,649
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		15,829	11,646	6,002
გაუნაწილებელი მოგება		(3,652)	(1,489)	(1,526)
სულ კაპიტალი		12,177	10,157	4,476
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	11	1,799	3,137	3,817
საიჯარო ვალდებულებები	7	5,880	3,579	2,053
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		7,679	6,716	5,870
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	6,033	6,362	5,238
გადასადელი ხელფასები	12	1,166	504	324
გადასადელი გადასახადები	12	810	831	563
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	11	15,844	11,006	5,400
საიჯარო ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი	7	1,542	1,127	778
სულ მიმდინარე ვალდებულებები		25,395	19,830	12,303
სულ ვალდებულებები		33,074	26,546	18,173
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		45,251	36,703	22,649

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 30 აპრილს შემდეგი პირების მიერ:


დირექტორი - ჯ. შალამბერიძე


ფინანსური დირექტორი - თ. თაბუკაშვილი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	15,829	(3,652)	12,177
წმინდა მოგება	-	(2,163)	
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	4,183		
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის (გადაანგარიშებული)	11,646	(1,489)	10,157
წმინდა მოგება	-	37	
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	5,644	-	
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის (გადაანგარიშებული)	6,002	(1,526)	4,476

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 30 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - *გ. შალამბერიძე*

ფინანსური დირექტორი - *თ. თაბუკაშვილი*

შპს ამბოლი
 კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)



	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	15,829	(3,652)	12,177
წმინდა მოგება	-	(2,163)	
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	4,183		
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის (გადაანგარიშებული)	11,646	(1,489)	10,157
წმინდა მოგება	-	37	
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	5,644		
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის (გადაანგარიშებული)	6,002	(1,526)	4,476

* 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 30 აპრილს შემდეგი პირების მიერ:


 დირექტორი - ჯ. მაღამბერიძე


 ფინანსური დირექტორი - თ. თაბუკაშვილი

	2023	2022
ფულადი ნაკადების ანგარიშგება (პირდაპირი მეთოდი)		გადაანგარიშებული
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან :		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	72,816	57,606
მომწოდებლებზე და მომუშავეებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(72,720)	(62,462)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გაცემული) ფულადი სახსრები	96	(4,856)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან :		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესაძენად		
გადახდილი ფულადი სახსრები	(3,205)	(2,400)
გაცემული სესხები	(11)	-
მიღებული პროცენტები	29	33
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(გაცემული) ფულადი სახსრები	(3,187)	(2,367)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან :		
სესხებიდან მიღებული ფულადი სახსრები	17,515	25,264
სესხების დასაფარად გაცემული ფულადი სახსრები	(14,258)	(14,965)
პროცენტის დასაფარად გაცემული ფულადი სახსრები	(2,790)	(1,987)
აქციების გამომშვება	4,200	-
ფინანსური იჯარის დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები	(1,198)	(994)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული/(გაცემული) ფულადი სახსრები	3,469	7,318
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	(146)	(115)
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	232	(20)
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	424	444
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის ბოლო	656	424

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 30 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - *ჯ. მალამბერიძე*

ფინანსური დირექტორი - *თ. თაბუკაშვილი*

შპს ამბოლი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული



	2023	2022
ფულადი ნაკადების ანგარიშგება (პირდაპირი მეთოდი)		გადაანგარიშებული
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან :		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	72,816	57,606
მომწოდებლებზე და მომუშავეებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(72,720)	(62,462)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გაცემული) ფულადი სახსრები	96	(4,856)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან :		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები	(3,205)	(2,400)
გაცემული სესხები	(11)	-
მიღებული პროცენტები	29	33
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(გაცემული) ფულადი სახსრები	(3,187)	(2,367)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან :		
სესხებიდან მიღებული ფულადი სახსრები	17,515	25,264
სესხების დასაფარად გაცემული ფულადი სახსრები	(14,258)	(14,965)
პროცენტის დასაფარად გაცემული ფულადი სახსრები	(2,790)	(1,987)
აქციების გამოშვება	4,200	-
ფინანსური იჯარის დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები	(1,198)	(994)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული/(გაცემული) ფულადი სახსრები	3,469	7,318
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	(146)	(115)
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	232	(20)
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	424	444
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის ბოლო	656	424

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 30 აპრილს შემდეგი პირების მიერ:


დირექტორი **ჯ. მალაშვილი**


ფინანსური დირექტორი **თ. თაბუკაშვილი**

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს ამბოლი, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, რომელიც დაარსდა 2004 წელს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა #142.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საბურავების, საავტომობილო ზეთების, ავტონაწილებითა და ავტო აქსესუარებით ვაჭრობა. კომპანიის მესაკუთრეები არიან სააქციო საზოგადოება სს საქართველოს კაპიტალი 90 პროცენტით და დავით ჭანტურია 10 პროცენტით.

შესაბამისობის ანგარიში

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რომლებიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ, და ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომლებიც გამოცემულია ფინანსური აღრიცხვის ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის მიერ.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების კონვენციის საფუძველზე, გარდა ფინანსური ინსტრუმენტებისა რომელთა პირვანდელი ღირებულება რეალური ღირებულებით არის შეფასებული.

2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა კომპანიის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა. ხელმძღვანელობამ მიმოიხილა როგორ ბაზრის და ბიზნესის რისკი. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე კომპანიას არ აქვს მოლოდინი ისეთი მნიშვნელოვანი რისკების, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებადობაზე.

უცხოური ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6894	2.7020
ლარი/1 ევრო	2.9753	2.8844

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი პირობები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

კომპანიის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით (გარიგების პირდაპირი დანახარჯების გამოკლებით, თუ ამგვარს ადგილი აქვს) და შემდგომში წარდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კონტრაქტის მიხედვით მისაღები ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის ღონეზე ხორციელდება.

შემდგომი შეფასება. შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის

ფინანსური აქტივების გაუფასურება. კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ორ ეტაპზე. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. სავაჭრო მოთხოვნებისათვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა რეზერვების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (i) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (ii) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების გარეშე არა დაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდ წილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება.

თუ მისაღები თანხების შეგროვება მოსალოდნელია ერთ წელში ან ნაკლებში, ისინი კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე აქტივები. თუ არა, წარმოდგენილი იქნება როგორც გრძელვადიანი აქტივები. ამჟამად, ყველა კომპანიის მოთხოვნები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე აქტივებად რადგან მათი მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ფარგლებში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში მარაგების მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას გამოკლებული მათი დასრულებისა და გაყიდვის ხარჯები.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე ან მათგან საკომპენსაციო თანხის წინასწარ მიღების შემთხვევაში, რა დროსაც აღნიშნული თანხა იდენტიფიცირებულია როგორც მიღებული ავანსები. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე.

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი, ზემოთ აღწერილი ვარიანტი აგრეთვე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება. ასეთებია, მაგალითად, ზოგიერთი ტრანზაქცია, რომელიც არასაბაზრო ფასით მიმდინარეობს, მოიცავს ბიზნესთან არადაკავშირებულ ხარჯებს ან საქონლისა და მომსახურების უფასოდ მიწოდებას. ამგვარი ტრანზაქციების დაბეგრვა ბასს 12 “მოგების გადასახადებით” არ რეგულირდება და 2017 წლის 1 იანვრიდან, ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად, აღირიცხება ისევე, როგორც გადასახადები მოგების გადასახადის გარდა ტრანზაქციის განხორციელების მომენტში

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

ძირითადი საშუალებების ერთეულის რეალიზაციიდან მიღებული სარგებელი ან დანაკარგი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვიდან ამონაგებს შორის სხვაობა, და, შესაბამისად, აისახება მოგება ან ზარალში სხვა შემოსავლების/ სხვა ხარჯების ნაწილში.

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აისახება საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლოს შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული ნაწილის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ყოველდღიური ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება ან ზარალში.

პერიოდის ცვლის ხარჯი

ძირითადი საშუალებების ცვლის ღირებულების დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზაობის დღიდან, რაც შეეხება კომპანიის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვლის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენების მზაობის დღიდან. ცვლთა იანგარიშება აქტივის ღირებულებას გამოკლებული აქტივის ნარჩენი ღირებულება

- შენობა-ნაგებობები - 50 წელი
- მანქანა-დანადგარები - 5 წელი
- ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები - 10 წელი
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 30 წელი
- კომპიუტერები - 3 წელი

ყოველი ფინანსური წლის ბოლოს ხორციელდება ცვლის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

კომპანია როგორც მოიჯარე

კომპანია იჯარით ფლობს საოფისე, სასაწყობო და სავაჭრო ფართებს. იჯარის ხელშეკრულებები ფორმდება 11 თვიდან 10 წლამდე ვადით. უძრავი ქონებასთან დაკავშირებულ იჯარების შემთხვევაში, როდესაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს, არ ხორციელდება საიჯარო და არა-საიჯარო კომპონენტების გამოყოფა და სრულად განიხილება როგორც ერთიანი იჯარის კომპონენტი.

იჯარის პირობები ყოველი ცალკეული კონტრაქტისათვის ინდივიდუალური მოლაპარაკებების საგანია. ეს შეთანხმებები არ მოიცავს რაიმე შემზღუდველ პირობებს (კოვენანტებს) გარდა იჯარით აღებული აქტივების უსაფრთხოებისა. აგრეთვე, დაუშვებელია მათი გამოყენება სასესხო ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით. იჯარები აღიარებულია როგორც გამოყენების უფლებით არსებული აქტივები და შესაბამისი ვალდებულებები.

იჯარიდან წარმოშობილი აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად იზომება მიმდინარე ღირებულების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებების წმინდა მიმდინარე ღირებულება მოიცავს (მათი არსებობის შემთხვევაში) შემდგომ სახდელებს:

- ფიქსირებული გადახდები (მათ შორის, არსებითად ფიქსირებული გადახდები), წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე და თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით;
- ნარჩენი ღირებულების გარანტიები, რომლებიც მეიჯარისთვის გარანტირებულია მოიჯარის მიერ, მოიჯარესთან დაკავშირებული მხარის მიერ, ან მეიჯარისგან დამოუკიდებელი ნებისმიერი მესამე მხარის მიერ, რომელსაც შეუძლია ამ საგარანტიო ვალდებულების ფინანსურად შესრულება;
- საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების გამოყენების ფასი, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის გათვალისწინებული ჯარიმები, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლების გამოყენებას.

ვალდებულების გაზომვისას ასევე გაითვალისწინება ის გადახდები, რომლებიც განხორციელდება შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გაგრძელების შემთხვევაში, როდესაც ამ უკანასკნელის ხდომილობა მართლზომიერად სარწმუნოა. სახდელები დისკონტირდება იჯარაში განივთული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუკი ამგვარი განაკვეთის დადგენა შეუძლებელია, როგორც ეს კომპანიის იჯარების უმრავლეს შემთხვევაშია, გამოიყენება მოიჯარის (კომპანიის) ზღვრული სასესხო განაკვეთი.

ზღვრული სასესხო განაკვეთი წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთს, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

იჯარის სახდელები იყოფა ძირის დაფარვად და ფინანსურ ხარჯად. ფინანსური ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იჯარის მოქმედების განმავლობაში. გამოყენების უფლებით არსებული აქტივები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ გაზომვას;
- იჯარის დაწყებამდე განხორციელებულ გადახდებს;
- სხვა რაიმე პირდაპირ დანახარჯებსა, და
- აღდგენასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

კომპანია როგორც მოიჯარე (გაგრძელება)

გამოყენების უფლებით არსებული აქტივები ამორტიზირდება წრფივი მეთოდით, სასიცოცხლო ვადასა და იჯარის ვადას შორის უმცირეს პერიოდზე. თუ კომპანიის მიერ აქტივის გამოსყიდვის, კონტრაქტით გათვალისწინებული, ოფციის გამოყენება მართლზომიერად სარწმუნოა, გამოყენების უფლებით არსებული შესაბამისი აქტივის ცვეთის ვადად განისაზღვრება მისი სასიცოცხლო ვადა. კომპანია არ იყენებს ფასს 16-ით გათვალისწინებულ გამონაკლისებს მცირეფასიან და მოკლევადიან იჯარებთან მიმართებით, შესაბამისად, მათი აღრიცხვა წარმოებს ზემოთ აღწერილი პოლიტიკის შესაბამისად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას. ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ვალდებულებები სრულად მოიცავს მომწოდებლის წინაშე წარდგენილ ვალდებულებას.

სესხები

სესხების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, გარიგების ხარჯების გამოკლებით. შემდგომში აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით; ნებისმიერი განსხვავება მიღებულ სესხსა (გარიგების ხარჯების გამოკლებით) და გამოსასყიდ ღირებულებას შორის აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში შესაბამის პერიოდში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

ღივიდენდები

ღივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული ღივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

შემოსავალი

შემოსავალი მოიცავს სავაჭრო მარაგების გაყიდვით სამართლიანი ღირებულებით ასახულ მიღებული ან მისაღებ ნეტო თანხებს დამატებული ღირებულების გადასახადის, უკან დაბრუნებების და ფასდათმობების გარეშე.

კომპანია შემოსავალს აღიარებს მაშინ როდესაც თანხები შეიძლება საიმედოდ შეფასდეს, როცა სავრაუდოა რომ მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში.

ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

თანამშრომელთა ანაზღაურება.

ხელფასები, წლიური ანაზღაურებადი შვებულებები, შვებულება ავადმყოფობის გამო, პრემიები და არა მონეტარული ბენეფიტები ირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც თანამშრომლები კომპანიას მომსახურებას უწევენ. კომპანიას არ გააჩნია რაიმე სამართლებრივი თუ კონსტრუქციული მოვალეობა, გასცეს პენსიები თუ მსგავსი ბენეფიტები.

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

2023 წელს მიღებულ იქნა შემდეგი ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები:

- **ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“** - (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის),
- **შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის** (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- **გადასვლის ოფციონი მზღვევულებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს** – ცვლილებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- **ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში განხორციელებული ცვლილებები:** სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რომლითაც კომპანიებს მოეთხოვრათ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია (და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა). შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განიმარტა, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია არსებითად ჩაითვლება, თუ მის გარეშე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები ვერ შეძლებენ გაგებას ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული სხვა არსებითი ინფორმაციის. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, თუ რა ინფორმაცია ჩაითვლება არსებითად საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ხდიდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ გაურკვეველს. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ასევე შეიცვალა ფასს-ის პრაქტიკული დებულება 2 „არსებითობის განსჯის განხორციელება“, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას.
- **ბასს 8-ში შესწორებები:** სააღრიცხვო შეფასებების განსაზღვრა (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ).
- **გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან- შესწორებები ბასს 12-სთვის** (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს, ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ნებადართულია.
- **ბასს 12 „მოგების გადასახადები“** - შესწორებები: საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – მეორე კომპონენტის სამოდელო წესები (გამოცემულია 2023 წლის 23 მაისს).

ზემოთ აღნიშნულ ცვლილებების მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები რომელიც ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან ან მას შემდგომ და რომელიც კომპანიას ნაადრევად არ გამოუყენებია არის შემდეგი:

- **შესწორებები ფასს 16-ში: იჯარა:** იჯარის ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- **ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები** (თავდაპირველად გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და შემდგომში შესწორებულია 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.)
- **ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“** შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);
- **შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა** (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს და ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- **ინვესტიორსა და მის მეკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა, ან შეტანა** - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაში შესვლის თარიღი არ არის ცნობილი)

თუ ეს სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შენიშვნა 3 - შესადარისი ინფორმაციის ცვლილება

მენეჯმენტი ყოველწლიურად განიხილავს ხარჯების კლასიფიცირების შესაბამისობას სტანდარტებთან და კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკასთან, შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს, რომლის მიხედვითაც წარდგენილი ანგარიშგება უფრო სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას.

ცვლილება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

	თანხა ცვლილებამდე	კორექტირება	რეკლასიფიცირება	თანხა ცვლილების შემდეგ
შემოსავალი	49,636	-	(446)	49,190
რეალიზაციის თვითღირებულება	(37,826)	-	392	(37,434)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(982)	-	270	(712)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	282	-	(216)	66

შენიშვნა 4 - შემოსავალი

შემოსავლები მოიცავს საქონლის რეალიზაციიდან და სერვისიდან მიღებულ შემოსავლების ერთობლიობას რომელიც შემცირებულია ფასდაკლების და უკან დაბრუნების თანხებით.

	2023	2022
საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	62,288	48,561
მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	1,019	629
საგარანტიო მომსახურება	12	-
სულ შემოსავალი	63,319	49,190

შენიშვნა 5 - ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)

ფინანსური შემოსავალი და ხარჯის შენიშვნა მოიცავს არასაოპერაციო შემოსავლების და ხარჯების ერთმანეთთან გადახურვით მიღებულ შედეგს.

	2023	2022
საპროცენტო შემოსავალი	31	33
საპროცენტო ხარჯი	(3,275)	(2,672)
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება	1,416	2,738
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი	(1,857)	(1,425)
გრძელვადიანი აქტივების ჩამოწერის ხარჯი	-	(98)
სულ ფინანსური ხარჯი/შემოსავალი	(3,685)	(1,424)

შენიშვნა 6 - ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა - დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
საწყისი დირეზულება							
ბალანსი 31/12/2021	1,750	769	432	805	380	1,404	5,540
დანამატები	-	114	499	846	426	698	2,583
აქტივების ჩამოწერა	-	-	(129)	(85)	(42)	(140)	(396)
ცვეთა პერიოდისათვის	-	(17)	(76)	(296)	(63)	(64)	(516)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	6	15	17	38
ბალანსი 31/12/2022	1,750	866	726	1,276	716	1,915	7,249
დანამატები	-	1	665	809	441	4,745	6,661
აქტივების ჩამოწერა	-	-	(107)	(39)	(13)	(3,387)	(3,546)
ცვეთა პერიოდისათვის	-	(19)	(123)	(454)	(103)	(83)	(782)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	9	9	-	42	60
ბალანსი 31/12/2023	1,750	848	1,170	1,601	1,041	3,232	9,642
ბალანსი 31/12/2022	1,750	866	726	1,276	716	1,915	7,249
ბალანსი 31/12/2023	1,750	848	1,170	1,601	1,041	3,232	9,642

შპს ამბოლი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 7 - ფინანსური იჯარა

	31.12.2023	31.12.2022
გამოყენების უფლებით არსებული აქტივები		
საცალო მაღაზიები	4,814	2,091
საწყობები	1,782	2,072
ოფისები	159	320
სულ აქტივები	6,755	4,483
იჯარის ვალდებულებები		
მოკლევადიანი	1,542	1,127
გრძელვადიანი	5,880	3,579
სულ ვალდებულებები	7,422	4,706
	31.12.2023	31.12.2022
გამოყენების უფლებით არსებული აქტივების ცვეთა :		
შენობა-ნაგებობები	1,658	1,266
საპროცენტო ხარჯი	657	389
სულ ვალდებულებები	2,315	1,655

შენიშვნა 8 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი წარმოადგენილია გაუფასურებული ნაწილის შემცირებული თანხით.

	31.12.2023	31.12.2022
ნედლეული	20,618	19,670
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	350	436
მარაგების გაუფასურება	(1,212)	(626)
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	19,756	19,480

შენიშვნა 9 - მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან მოიცავს ეკონომიკური საქმიანობიდან წარმოქმნილ მოთხოვნებს, რომელიც შემცირებულია გაუფასურების რეზერვების ანარიცხებით.

	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო მოთხოვნები	4,682	3,125
მომწოდებლებთან გადახდილი ავანსები	2,677	1,779
სხვა დებიტორული დავალიანება	1,045	244
მოთხოვნის გაუფასურების რეზერვი	(281)	(385)
სულ მიმდინარე მოთხოვნები	8,123	4,763

შენიშვნა 10 - ფული და ფულადი ექვივალენტები

	31.12.2023	31.12.2022
ლარი საბანკო ანგარიშებზე	642	396
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	5	22
ნაღდი ფული სალაროში	9	6
ჯამურად ნაღდი ფული სალაროში	9	6
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	656	424

შენიშვნა 11 - სესხები და გადასახდელი პროცენტები

სესხები	31.12.2023	31.12.2022
სესხები დაკავშირებულ მხარეებთან	6,367	4,532
სესხები საკრედიტო ინსტიტუტებთან	10,749	9,333
გადასახდელი პროცენტები		
საპროცენტო ვალდებულება დაკავშირებულ მხარეებთან	461	201
საპროცენტო ვალდებულება საკრედიტო ინსტიტუტებთან	66	77
სულ სესხები და გადასახდელი პროცენტები	17,643	14,143

ვალიანობა	31.12.2023	31.12.2022
გრძელვადიანი სესხი	1,799	3,137
მოკლევადიანი სესხები და გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	15,316	10,729
გადასახდელი პროცენტები	528	277
სულ სესხები და გადასახდელი პროცენტები	17,643	14,143

შენიშვნა 12 - სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	5,315	6,395
გადასახდელი ხელფასები	1,509	504
მიღებული ავანსები	375	106
გადასახდელი გადასახადები	810	692
სულ მიმდინარე ვალდებულებები	8,009	7,697

13. რისკის მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში. კომპანიის აქტივები, პოტენციურად ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა). კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცემის სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი სახელმწიფო ორგანოა თუ კერძო იურიდიული, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიძნელეების არსებობას. მაღალრისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვალიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

კომპანიის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. კომპანია ესწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომელიც უმათავრესად შედგება საოპერაციო ფულადი ნაკადებისა და მომხმარებელთა წინასწარი გადახდებისაგან. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2023 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ვალდებულებები კონტრაქტების მიხედვით დარჩენილი გადახდის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადების ცხრილში მოცემული თანხები არის კონტრაქტით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები.

	მოთხოვნისთანავე ან 6 თვეზე ნაკლები	6-12 თვემდე	12 თვედან 2 წლამდე	2-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31 დეკემბერი 2023 სულ
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,824	-	-	-	-	6,824
სასესხო ვალდებულებები	5,141	10,176	-	-	1,799	17,116
საიჯარო ვალდებულებები	747	734	1,276	2,270	2,395	7,422
სულ ფინანსური ვალდებულებები	12,712	10,910	1,276	2,270	4,195	31,362

ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

31.12.2022	მოთხოვნისთანავე ან 6 თვეზე ნაკლები	6-12 თვემდე	12 თვედან 2 წლამდე	2-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31 დეკემბერი 2022 სულ
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,899	-				6,899
სასესხო ვალდებულებები	2,615	8,114	-	1,225	1,911	13,865
საიჯარო ვალდებულებები	422	356	349	1095	2,484	4,706
სულ ფინანსური ვალდებულებები	9,936	8,470	349	2,320	4,395	25,470

კაპიტალის რისკი

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემითა და კაპიტალის ზრდით.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. კომპანია უცხოურ ვალუტაში ახორციელებს

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია კომპანიის უცხოური ვალუტის გადაცვლის კურსის რისკი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ითვლება, რომ არაფულადი აქტივები რაიმე მნიშვნელოვან სავალუტო რისკს არ წარმოშობს.

	31 დეკემბერი 2023		
	GEL	USD 1 = 2.6894 GEL	EUR 1 = 2.9753 GEL
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	650	4	2
სავაჭრო მოთხოვნები	4,682	1	-
სულ ფინანსური აქტივები	5,332	5	2
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	803	3,357	1,155
სესხები	15,576	1,540	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	16,379	4,897	1,155
სულ წმინდა პოზიცია	(11,047)	(4,892)	(1,153)

სავალუტო რისკი (გაგრძელება)

31 დეკემბერი 2022

	GEL	USD 1 = 2.7020 GEL	EUR 1 = 2.8844 GEL
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	401	22	-
სავაჭრო მოთხოვნები	3,112	13	-
სულ ფინანსური აქტივები	3,513	35	-
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	717	3,720	1,925
სესხები	12,319	1,546	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	13,036	5,266	1,925
სულ წმინდა პოზიცია	(9,523)	(5,231)	(1,925)

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ორგანიზაციის ვალდებულებების არსებითი ნაწილი წარმოქმნილია უცხოურ ვალუტაში. ქვეყნის ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებები არსებით გავლენას ახდენს საანგარიშო პერიოდის ფინანსურ შედეგებზე, რის გამოც სავალუტო რისკები მაღალია. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ ტრანზაქციებს; შესაბამისად, მასზე მოქმედებს რისკი, რომელიც გაცვლითი კურსის მერყეობისას წარმოიქმნება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის 20%-ით გაძვირება/გაიაფების მიმართ 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზი ჩატარდა საანგარიშო დღეს შესაბამის ვალუტებში დენომინირებულ ფულად ერთეულებზე.

31 დეკემბერი 2023	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL	EUR/GEL	EUR/GEL
	20%	- 20%	20%	-20%
მოგება/ზარალი გადასახადებამდე:	(978)	978	(231)	231

31 დეკემბერი 2022	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL	EUR/GEL	EUR/GEL
	20%	- 20%	20%	-20%
მოგება/ზარალი გადასახადებამდე:	(1,046)	1,046	(385)	385

14. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

მსურველ მხარეებ შორის, გარდა იძულებული გაყიდვისა, ან ლიკვიდაციისა, და მისი საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასი.

ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრა კომპანიის მიერ, რომელმაც გამოიყენა ბაზარზე არსებული ინფორმაცია, მისი არსებობის შემთხვევაში, და შეფასების შესაბამისი მეთოდოლოგიები. თუმცა, საჭიროა განსჯის გამოყენება იმისათვის, რომ ინტერპრეტირებული იქნეს საბაზრო მონაცემები და განისაზღვროს შეფასებული რეალური ღირებულება. საქართველო კვლავ ამჟღავნებს ჩამოყალიბებადი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნის მახასიათებლებს და ეკონომიკური პირობებით კვლავ იზღუდება ფინანსურ ბაზრებზე აქტივობების მოცულობა. საბაზრო კოტირებები შესაძლოა მოძველებული იყოს, ან ასახავდეს იძულებითი გაყიდვის ოპერაციებს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. ხელმძღვანელობამ გამოიყენა არსებული ყველა საბაზრო ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებიანი ინსტრუმენტების შეფასებული ღირებულება ეფუძვნება მომავალში სავარაუდო ფულადი სახსრების ნაკადებს, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირების მეშვეობით, იმ ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე.

სავაჭრო და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს. ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. ფიქსირებული დაფარვის ვადის მქონე მიღებული სესხების, აგრეთვე, იჯარიდან წარმოშობილი ვალდებულებების, სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრა მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით იმ ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია.

15. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ მიმდინარეობს სასამართლო დავები და საჩივრები, რომელთა უმეტესი ნაწილი საანგარიშო პერიოდში დასრულდა კომპანიის სასარგებლოდ. დარჩენილი მიმდინარე სასამართლო დავები მოიცავს საქონლის რეალიზაციიდან მიუღებელ თანხებზე წარმოქმნილ დავებს, რომელსაც ჯამური ღირებულება არა არსებითია და გავლენას არ ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციაზე.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტიორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

ჩანაწერებში მოცემულია საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული დაკავშირებული მხარეები და მათთან განხორციელებული ოპერაციები:

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები:	2023	2022
სასესხო ვალდებულებები - ძირი	(6,366,745)	(4,533,212)
სასესხო ვალდებულებები - პროცენტი	(462,089)	-
სასესხო ვალდებულებები - რელკასირებული კაპიტალად	(9,166,744)	(4,949,500)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(82,370)	(93,649)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	43,333	149,358

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები:	2023	2022
შემოსავალი საქონლის გაყიდვასა და მომსახურებიდან	331,785	744,149
საპროცენტო ხარჯი	(810,381)	(560,508)
საპროცენტო ხარჯი - უკუგატარების რეკლასით შემცირებული	(1,121,975)	(311,630)
სადაზღვეო ხარჯი	(139,854)	(89,892)
კომუნალური და სხვა საოპერაციო ხარჯი	(48,682)	(59,109)

ხელმძღვანელობის ანაზღაურება		
	2023	2022
დირექტორების შრომის ანაზღაურება	648	514
სულ	648	514

17. ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს გენერალური დირექტორის ცვლილება, რომელიც განხორციელდა 2024 წლის 27 მარტს.

შპს „ამბოლი“
მმართველობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის



1 ზოგადი ინფორმაცია



შპს ამბოლი საქართველოს ბაზარზე 20 წელია ოპერირებს. იგი პირველად 2004 წელს გამოჩნდა, ხოლო 2019 წელს კომპანიის ძირითადი წილის მფლობელი გახდა ქართული საინვესტიოსიო კომპანია სს „საქართველოს კაპიტალი“.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ავტონაწილების იმპორტი და გაყიდვაა, ამასთან ერთად ავტომფლობელებს სთავაზობს ავტომობილის ექსპრესს მომსახურებას.

2 ინდუსტრიის მიმოხილვა

2017 – 2023 წლების სტატისტიკის გათვალისწინებით საქართველოში რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა ყოველწლიურად მზარდი ტენდენციით ხასიათდება.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ყოველ 1,000 მოსახლეზე მსუბუქი ავტომობილების რაოდენობა (გაუქმებული ავტომობილების გამოკლებით) ბევრად ჩამორჩება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მაჩვენებლებს, ქალი მძღოლების რაოდენობის ზრდის მიუხედავად (2023 წლის მდგომარეობით, სრულწლოვანი ქალების მხოლოდ 24%-ს ჰქონდათ მართვის მოწმობა, მამაკაცებში ეს მაჩვენებელი 63%-ია), მიუთითებს მომავალში მოთხოვნის ზრდის შესაძლებლობაზე.

ბაზარზე მოლოდინებით საქართველოს ავტოპარკს წინ ელოდება ეტაპობრივი გადასვლა ეკო-მობილობაზე საშუალოვადიან პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით ჰიბრიდული ავტომობილების მოთხოვნა მაღალია, ხოლო ელექტრომობილების იმპორტი დაბალი. მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც ელექტრომობილების ზრდას 4 ძირითადი ბარიერი უშლის ხელს:

- ✚ მაღალი ფასი,
- ✚ გადაადგილების შეზღუდული დიაპაზონი
- ✚ დასატენი ინფრასტრუქტურის ნაკლებობა და
- ✚ მოდელების შეზღუდული არჩევანი

თუმცა, საშუალოვადიან პერსპექტივაში ეს ბარიერები აღმოფხვრადია. შედეგად, საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს პროგნოზით, 2030 წლისთვის ელექტრომობილების წილი მანქანების ჯამურ გაყიდვებში 32% - მდე გაიზრდება.

საშუალოვადიან პერსპექტივაში ავტომობილების მოთხოვნაზე მოქმედი ფაქტორები, მოძველებული ავტოპარკისა და ქალი მძღოლების რაოდენობის ზრდის ჩათვლით ჯანსაღია და იძლევა საშუალებას ვივარაუდოთ ბაზრის მკვეთრი ზრდა.

2014 წელს, „ასოცირების ხელშეკრულების“ ხელმოწერის შემდეგ საქართველოს წინაშე დადგა ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების რეფორმის გატარების მოთხოვნა. ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შორის ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების რეფორმამ საქართველოს მოსახლეობას გაუჩინა ვალდებულება იზრუნონ თავიანთ ავტომობილებზე, იქონიონ შესაბამისი საბურავები, წესის დაცვით გამოცვალონ ძრავის ზეთი, ხუნდები, სათანადო და დროული მზრუნველობის პირობებში კი ხელი შეუშალონ მათი ავტომობილების გაუმართავ მდგომარეობაში გადაადგილებას.

საქართველოში ავტოინდუსტრია ფრაგმენტირებულია, თუმცა ბაზრის მნიშვნელოვანი წილი დიდ მოთამაშეებს უჭირავთ. ზემოთ ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით არსებობს მნიშვნელოვანი შესაძლებლობა როგორც ბაზრის ზრდის, ასევე არსებული ბაზრის ათვისების და ლოიალური კლიენტების შეძენის კუთხით.

3 კომპანიის მიმოხილვა

ამბოლი თანამშრომლობს საერთაშორისო ბრენდებთან და ქართველ მომხმარებლებს სთავაზობს სხვადასხვა სეგმენტზე მორგებულ პროდუქციას.

2023 წლის განმავლობაში ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა აკუმულატორების, ზეთებისა და ფილტრების, ანტიფრიზის, ხუნდების, მსუბუქი და სატვირთო საბურავების და სხვა წვრილმანი ავტონაწილების იმპორტი და რეალიზაცია საქართველოს მასშტაბით განთავსებულ ცხრამეტ რეზერბირებულ ფილიალში.



საგარეო



აპარატურა



ფართობი



საგარეო
სისტემა



ნათარგი



ფილტრები



მინისაფარები



- ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთი, აკაკი წერეთლის გამზ. 40. (032) 215 40 40
- ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთი, მტკვრის მარცხენა სანაპირო, ქსნის ქუჩის მიმდებარედ (032) 215 40 40
- ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალო, ქართულ-ამერიკული მეგობრობის ქ. N23 (032) 215 40 40
- ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალო, უნივერსიტეტის ქ. N6 (032) 215 40 40
- ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალო, პ. ქავთარაძის ქ. N16 (032) 215 40 40
- ქ. თბილისი, ისანი-სამგორი, მოსკოვის გამზ. N31 (032) 215 40 40
- ქ. თბილისი, ისანი-სამგორი, ვიქტორ კუპრადის N64
- ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთი, ხუდადოვის და ჩონდრიშვილის გადასახვევი N4
- ქ. თბილისი, გაფორმების ეკონომიკური ზონა, თბილისის შემოვლითი გზის 36-ე კილომეტრი
- ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი 22დ, (032) 215 40 40
- ქ. თელავი, სოფ. ვარდისუბანი (032) 215 40 40
- ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N 194 (032) 215 40 40
- ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. N11ა (032) 215 40 40
- ქ. ბათუმი, გ. ლეონიძის ქ. N1 (032) 215 40 40
- ქ. ბათუმი, გაგარინის N5, აეროპორტის გზატკეცილი
- ქ. ახალციხე, ბ. ჯაყელის ქ. N23 (032) 215 40 40
- ქ. ფოთი, კოკაიას ხეივანი (032) 215 40 40
- ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა (032) 215 40 40
- ქ. თბილისი, TAX-FREE, სოფ. კაპანახჩი (032) 215 40 40

ამბოლი ემსახურება, როგორც საცალო, ასევე კორპორატიულ კლიენტებს და საბითუმო არხს, მონაწილეობას იღებს სახელმწიფო ტენდერებში და საერთაშორისო ტრანზიტული ავტომობილებისთვის აქვს სატვირთო ავტომობილების ცვეთადი ნაწილების ფართო ასორტიმენტი მსოფლიოში ცნობილი პრემიუმ კლასის ბრენდებისგან Tax Free არხში.
ბიზნეს მოდელი



თითოეული ეტაპი ძალიან მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ბიზნესის უხარვეზოდ ფუნქციონირებისათვის. მიკრო და მაკროეკონომიკური ფაქტორები პირდაპირ და ირიბ გავლენას ახდენენ ამბოლის ბიზნეს გარემოზე, მენეჯმენტის მუდმივი ჩართულობით, მომწოდებლებთან აქტიური კომუნიკაციით, ბაზრის აქტიური კვლევითა და შიდა თუ გარე ფაქტორების უწყვეტი ანალიზით ამბოლი ახერხებს ყოველწლიურად ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილის ათვისებას.

საერთაშორისო თანამშრომლობა და ბრენდები

მნიშვნელოვანია ჩვენი მჭიდრო თანამშრომლობა საერთაშორისო მომწოდებლებთან. ამბოლის პორტუგალი მოიცავს შემდეგ საერთაშორისოდ აღიარებულ ბრენდებს:

აკუმულატორები: DURACELL, BANNER, MUTLU, CENTRA, AKO-TURBO, ATLANTIC, MEGATEX, VOLAT.

ზეთები: SHELL, TOTACHI, WOLF, ENI, MOL, LOTOS.


ფილტრები: WIX, JAPKO.

ხუნდები: BREMBO, TEXTAR, DON, NISSHINBO, ROTINGER, Hi-Q, REMSA.

მსუბუქი საბურავები: GOODYEAR, HANKOOK, DUNLOP, TOYO, NEXEN, TRIANGLE, LANVIGATOR, TRANSTONE.

სატვირთო საბურავები: GOODYEAR, FALKEN, TRIANGLE, LANVIGATOR, ADVANCE, MIRAGE, ROADLUX, TRANSTONE.





აღსანიშნავია, რომ ამბოლი 2022 წლიდან გახდა ამერიკული მულტინაციონალური პრემიუმ ბრენდის GoodYear - ის საბურავების ექსკლუზიური დილერი.

2023 წლიდან ასევე ზეთების მიმართულებას დაემატა ახალი პრემიუმ ბრენდი ENI, ხოლო ხუნდების მიმართულებას BREMBO და ამბოლი გახდა აღნიშნული პრემიუმ ბრენდის დილერი.

კომპანიის მენეჯმენტი აქტიურად მუშაობს ახალი ბრენდების შემოყვანასა და არსებული პორტფელის ფარგლებში კი შეთავაზებების გაზრდაზე.





გარემოს დაცვა

ამბოლის ბიზნესსაქმიანობიდან გამომდინარე კომპანიას უწევს სახიფათო და გარემოსთვის საზიანო ნარჩენების წარმოქმნა. იმისათვის, რომ გარემოს მინიმალური ზიანი მიაღწეს, კომპანია აგროვებს და ლიცენზირებულ გადამამუშავებელს მიაწვდის ისეთ ნარჩენებს, როგორებიცაა მეორადი აკუმულატორები და ზეთები, გამოუსადეგარი საბურავები და ძრავის, სლაონისა თუ ჰაერის ფილტრები. ამბოლის ფილიალები სრულად აღჭურვილია ნარჩენების სეპარირებულად შესაგროვებლად, შესაბამისად მეორადი პროდუქციისა და ნარჩენების მართვის პროცესი კომპანიაში მარეგულირებლის სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში მიმდინარეობს.


აღსანიშნავია, რომ 2023 წელს აკრედიტაცია მიიღო და 2024 წლის იანვრიდან საოპერაციო საქმიანობა დაიწყო ამბოლის შვილობილმა კომპანია 'ამბოლი O2'-მა. აღნიშნული არაკომერციული ორგანიზაცია თავად წარმოადგენს მეორადი აკუმულატორების შემგროვებელს და პასუხისმგებელია, რომ აღნიშნული სახიფათო ნარჩენები გადაეცეს ლიცენზირებულ გადამამუშავებელს.

ადამიანური კაპიტალი

2023 წლის დასასრულს კომპანიაში მუშაობდა 379 ადამიანი, წლის განმავლობაში კი საშუალოდ 336 ადამიანი, რომელიც აერთიანებდა, როგორც ფილიალის ასევე სათაო ოფისის თანამშრომლებს საქართველოს მასშტაბით.


თანამშრომელთა რაოდენობა

■ თბილისი ■ რეგიონი



გენდერული გადანაწილება

■ ქალი ■ მამაკაცი



კომპანიაში დანერგილია კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები, რომლებსაც ატარებენ როგორც პარტნიორი მომწოდებლები, ასევე ამბოლის მრავალწლიანი გამოცდილების მქონდე პროფესიონალი თანამშრომლები და მსურველებს უზიარებენ თავიანთ თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც მათ უხმარებათ ყოველდღიურ ეფექტურად მუშაობასა და წარმატების მიღწევას.

მომხმარებლები

ამბოლის გუნდისთვის მნიშვნელოვანია კლიენტების დროული და ხარისხიანი მომსახურება, ამისათვის, ამბოლში შექმნილია მომსახურების ისეთი მოდელი, რომელიც ყველაზე მცირე დროს დაახარჩინებს ავტომობილის მფლობელს მის მოვლაში და, ამასთან, ეს მცირე დროც სასიამოვნო სამომხმარებლო გამოცდილებასან იქნება დაკავშირებული.

მომხმარებლის მხრიდან პროდუქტის გათვითცნობიერებული შერჩევა და მათი ინფორმირება ავტომობილის მოვლასთან დაკავშირებით ერთ-ერთ ძირითად მიზანია ჩვენი კომპანიის საქმიანობაში. ამბოლის სოციალური ქსელების და სხვადასხვა არხების საშუალებით ინტენსიურად ცდილობს ბაზრის ცნობიერების ამაღლებას ბრენდების, პროდუქტებისა და ავტომობილის სწორ მოვლასთან დაკავშირებული სხვადასხვა დეტალების შესახებ.

2023 წელს ფუნქციონირება განაახლა ამბოლის ონლაინ მაღაზიამ: amboli.ge, რომელიც მომხმარებლებს შესაძლებლობას აძლევს, მათთვის საჭირო პროდუქტი მაქსიმალურად სწრაფად და კომფორტულად შეუკვეთოს და შეიძინოს, ასევე აირჩიოს ადგილზე მიტანისა თუ ფილიალში მონტაჟის ვარიანტი და ისარგებლოს განსაკუთრებული ონლაინ შეთავაზებით. კომპანია მომხმარებლებს ასევე სთავაზობს მობილური სერვისით სარგებლობის შესაძლებლობას, რაც ნებისმიერ ლოკაციაზე პროდუქციის მიწოდებასა და მისი თანმდევი ექსპრეს სერვისით სარგებლობას გულისხმობს.

გარე ფაქტორების ზემოქმედება კომპანიაზე

საქართველოს, როგორც მსოფლიო ეკონომიკის ნაწილს თან სდევს მაკროეკონომიკური რისკები, რომლებიც საქართველოში რეგისტრირებული ბიზნესსამიანობისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

ამბოლის ბიზნეს საქმიანობაზე გარე ფაქტორების ზემოქმედება შეიძლება დაიყოს რამოდენიმე ნაწილად:

- ✚ გლობალური ფაქტორები (იმპორტის ჯაჭვი, ფასების ზრდა)
- ✚ კონკურენცია
- ✚ სოციალური ფაქტორები (მათ შორის სხვადასხვა ტიპის ბიჰევიორისტული ქცევის გამოვლენა)
- ✚ ეკონომიკური ფაქტორები (ინფლაცია, მშპ - ის ცვლილება, გაცვლითი კურსის მერყეობა, საპროცენტო განაკვეთების ზრდა, რაც აძვირებს ფინანსებზე ხელმისაწვდომობას ბიზნესებისთვის და კაპიტალური პროექტების განხორციელების ხელშემშლელი ფაქტორია)
- ✚ დემოგრაფიული ფაქტორები (პოპულაციის დაბერება)
- ✚ ტექნოლოგიური ფაქტორები.
- ✚ პოლიტიკური ფაქტორები (მათ შორი რეგულაციების შემოღება მეორად ბაზრებზე, სავალდებულო ავტოტექნომსახურების კონტროლი, სავალდებულო ზამთრის საბურავები კონკრეტულ რეგიონებში)

მიმდინარე მსოფლიო პროცესები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ჩვენი ქვეყნის ბიზნეს გარემოზე, ვინაიდან ამბოლი იმპორტიორი კომპანიაა და ყველა პროდუქტი, რომელიც ფილიალებში იყიდება ევროპის, ამერიკის და აზიის ბაზრებიდანაა იმპორტირებული აღნიშნული ბაზრების რყევები კომპანიის საქმიანობაზეც აისახება.

მნიშვნელოვანი ფართომასშტაბიანი გავლენა რუსეთ-უკრაინის ომი იყო, რამაც გამოიწვია უკრაინის ტერიტორიაზე განთავსებული საწარმოების გაჩერება და მეორეს მხრივ რუსეთის სანქცირება და რუსეთში განთავსებული საწარმოებიდან პროდუქციის შესყიდვა და ტრანსპორტირების შეზღუდვა.

შიდა ფაქტორების ზემოქმედება კომპანიაზე

გარდა გარე ფაქტორებისა ამბოლის საქმიანობაზე შიდა ფაქტორების ზემოქმედებაც აისახება, მალითად:

- ✚ ფინანსური რესურსები
- ✚ ადამიანური რესურსები
- ✚ ინტელექტუალური რესურსები

განვითარების ეტაპზე მყოფი ყოველწლიურად მზარდი კომპანიისთვის მნიშვნელოვანია საკმარის ფინანსურ რესურსებზე დროული ხელმისაწვდომობა, რათა შესაძლებლობა ინვესტიციები განხორციელებდეს მომგებიან პროექტებში ბაზარზე წილის გასაზრდელად. ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გარდა არანაკლებ მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსი და გუნდის დაკომპლექტება, თანამშრომლების შენარჩუნება და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, ვინაიდან თუ ვინმე ამბოლის ისტორიაში ღირებულებას ქმნიან, ეს არიან ადამიანები, კომპანიის თანამშრომლები და ამბოლის მზარდი გუნდის წევრები, რომლებიც აიდეტიფიცირებენ და ქმნიან წარმატების მიღწევის შესაძლებლობებს და ყოველდღიურ რეჟიმში იბრძვიან ამ მიზნის მისაღწევად. შესაბამისად მაღალი ინტელექტუალური უნარ-ჩვევების, ცოდნისა და გამოცდილი პროფესიონალების შენარჩუნება გუნდის მენეჯმენტის ძირეული ამოცანაა.

ისევე როგორც ნებისმიერ ბიზნესში თანამედროვე სამყაროში, კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად ამბოლის გუნდის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, ჰქონდეს შესაძლებლობა დროულად მოერგოს და სათანადოდ უპასუხოს ტექნოლოგიურ წინსვლასა და ცვლილებებს.

4 კომპანიის სამომავლო ხედვა

ამბოლის მთავარ მიზანია პროდუქციის ასორტიმენტის გაზრდა, ავტომფლობელებისთვის ხარისხიანი და უნიკალური მომსახურების შეთავაზება, ხოლო ბაზრის განვითარების პარალელურად გამოიწვევების შესაძლებლობებზეა ქცევა.

სამომავლო გეგმები და ძირითადი მიმართულებებია:

- ✚ მომხმარებელთა ლოიალობის გაზრდა
- ✚ ახალი მომხმარებლების მოზიდვა
- ✚ ბაზრის წილის ზრდა
- ✚ ხარჯების სტრუქტურის ოპტიმიზირება
- ✚ ლიკვიდურობის კოეფიციენტის შენარჩუნება
- ✚ ახალი მიმართულებების განვითარება

ავტომობილების წარმოების და რეალიზაციის ინდუსტრია მზარდია, რასაც თან სდევს გაზრდილი მოთხოვნა მათ მოვლა-მომსახურებასთან დაკავშირებით. 2023 წლიდან უკვე აიკრძალა საქართველოში 2013 წლამდე გამოშვებული მანქანების იმპორტი, რაც თავის მხრივ, ავტოპარკის ასაკის შემცირებასთან ერთად გამოიწვევს იმას, რომ მანქანის მფლობელებს მოტივაცია გაუჩნდებათ, მეტად იზრუნონ თავიანთ ახალ და ძვირადღირებულ მანქანებზე, რაც აჩენს მოლოდინს, რომ ამბოლისთვის ჯერ კიდევ არსებობს დიდი შესაძლებლობები

ბაზრის ათვისებისა და საბაზრო წილის გაზრდის მიმართულებით.

5 წარმატების ინდიკატორები

ამბოლის წარმატებას განსაზღვრავს ბევრი ინდიკატორის როგორც დამოუკიდებელი ასევე თანაზომიერი ურთიერთქმედება, რომელიც შეგვიძლია შემდეგი ფორმით ჩამოვაყალიბოთ:

- ✚ კონკურენტული უპირატესობის მოპოვება ბაზარზე და ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილის ათვისება
- ✚ საერთაშორისო ბრენდებთან მჭიდრო და გრძელვადიანი სტრატეგიული კომუნიკაცია, პორტფელების გაზრდა მომხმარებლისთვის საინტერესო პროდუქციისა და მისაღები ხარისხის შესათავაზებლად
- ✚ ლოიალური მომხმარებლების მოზიდვა და შენარჩუნება
- ✚ საქართველოს მასშტაბით დაფარვის გაზრდა, ფილიალების ხელმისაწვდომობა საქართველოს ყველა კუთხეში
- ✚ პროფესიონალი და თავისი საქმის მოყვარული კადრების მოზიდვა, შენარჩუნება და მათი პროფესიული ზრდის ხელშეწყობა
- ✚ ინვესტირებისთვის ძლიერი და სანდო ფინანსური მაჩვენებლების შენარჩუნება
- ✚ შემოსავლის ზრდა და ხარჯების ოპტიმიზაცია

საკრედიტო რისკი

საბაზრო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ მცურავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანია არ იყენებს რაიმე წარმოებულ ფასიან ქაღალდებს საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნით.